*დანართი №2*

**შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა**

| |
|---|
| **ექსპერტთა ჯგუფის წევრები** |
| **თავმჯდომარე:** ეკა ბუთხუზი |
| **წევრები:** თეა ნარეკლიშვილი |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ნაწილი I. შესავალი**

**I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ**

დაწესებულების  სახელწოდება: შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგი

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

საიდენტიფიკაციო კოდი: 417878130

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

*მოკლედ აღწერეთ ვიზიტი.*

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2026 წლის 20 მაისის N599480 ბრძანების საფუძველზე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების" 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების მიზნით განახორციელონ ვიზიტი შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ამაგში 2026 წლის 8 ივნისს (მის.: ქ. გორი, ცხინვალის N9).

ექსპერტებმა შეისწავლეს დაწესებულების მიერ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში გამოგზავნილი განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია. შედგა ვიზიტის დღის წესრიგი და შესაბამისად 2026 წლის 8 ივნისს განხორციელდა ვიზიტი შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ამაგში (მის.: ქ. გორი, ცხინვალის N9).

ვიზიტი ჩატარდა დღის წესრიგის შესაბამისად, რომლის ფარგლებში ექსპერტები დაწესებულებაში გაესაუბრნენ დაწესებულების ხელმძღვანელს, ხარისხის უზრუნველყოფაზე, სასწავლო პროცესის ორგანიზებაზე პასუხისმგებელ პირებს, პროგრამის ხელმძღვანელს, პროფესიული განათლების მასწავლებლებს, პარტნიორი კომპანიების წარმომადგენლებს. დაათვალიერეს და შეისწავლეს პროგრამის განსახორციელებლად საჭირო სასწავლო რესურსი და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.
ვიზიტმა ჩაიარა მშვიდ, კოლეგიალურ და საქმიან ვითარებაში.

III. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

*გთხოვთ, მოიყვანოთ საუკეთესო გამოცდილების მაგალითი(ებ)ი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი II. სტანდარტთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

I. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

| სტანდარტი/კომპონენტი | საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|---|
| 2) საგანმანათლებლო პროგრამები | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**II. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება**

*ხარვეზი არ გამოვლენილა.*

**III. სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება**

*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია არ გაცემულა.*

**IV. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება**

*განმავითარებელი რეკომენდაცია არ გაცემულა.*

**V. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე**

*შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის მიერ წარმოდგენილი კორესპონდენციით (2026 წლის 24 ივნისი, წერილი N00011985) დგინდება, რომ დაწესებულება სრულად ეთანხმება ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შედგენილ დასკვნის პროექტში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებს.*

**ნაწილი III. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

**I. ზოგადი ინფორმაცია**

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები |
| პროფესიული განათლების დონე | მეხუთე დონე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია შრომის უსაფრთხოებასა და გარემოსდაცვით ტექნოლოგიებში |
| სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0712 |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | |
|---|---|
| პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები | 2026 წლის 6 მაისის კოლეჯის დირექტორის N00007966 ბრძანება |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები | ცხინვალის N9, ქალაქი გორი, შიდა ქართლი, 1400, საქართველო |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში) | რეალურ სამუშაო გარემოში |
| რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური) | კოოპერაციული |
| პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით | 40 |
| მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით *(არსებობის შემთხვევაში)* | - |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 120 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 150 |

**II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

*იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.*

| | |
|---|---|
| პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით | |
| სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).* | |

**დასაბუთება**

.....
.....
.....
.....

**ნაწილი IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება**

**2. საგანმანათლებლო პროგრამები**

**2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება**

**2.1.1** პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**2.1.1.1 პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას, კერძოდ,** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **„შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“** განხორციელების შესახებ გადაწყვეტილება, გამომდინარეობს **შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის** მისიიდან და სტრატეგიული მიზნებიდან და ეფუძნება საგანმანათლებლო პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთებას. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების დასაბუთება ეფუძნება შრომის ბაზრის ანალიზს და ასახავს დედაქალაქში არსებული საჭიროების შესწავლას. დასაბუთებაში მკაფიოდ გამოხატულია პროგრამის საჭიროება და მიზნობრიობა, რაც ადასტურებს მის შესაბამისობას დაწესებულების მისიასთან - განახორციელოს შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული, მრავალფეროვანი პროფესიული პროგრამები, რომელთა განხორციელებით მოამზადებს კვალიფიციურ სპეციალისტებს და წვლილს შეიტანს ქვეყნის სოციალურ - ეკონომიკურ განვითარებაში. აღნიშნული გადაწყვეტილება სრულად ეყრდნობა დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმას, რომლის ერთ-ერთი პრიორიტეტია შრომის ბაზრისა და საზოგადოების მოთხოვნების გათვალისწინებით ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და დანერგვა, რაც მიზნად ისახავს სტუდნტთა დასაქმების შესაძლებლობების გაზრდას და რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობას.

შპს - საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგი წარმოადგენს მრავალპროფილურ სასწავლებელს, რომელიც ზრუნავს გააფართოვოს მიმართულებათა სპექტრი და დაიმატოს ისეთი პროგრამები, რომლებიც მოთხოვნადია შრომის ბაზარზე. 2019 წლიდან საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებულია ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“, რომლის საფუძველზე აუცილებელი გახდა ნებისმიერ დაწესებულებას ჰყავდეს სერტიფიცირებული შრომის უსაფრთხოების სპეციალისტ(ებ)ი, აქედან გამომდინარე, საჭიროა ამ მიმართულებით მომზადებული სათანადო კვალიფიკაციის კადრი, რომელიც აღჭურვილი იქნება თეორიული ცოდნით და შესაბამისი პრაქტიკული უნარებით. წარმოდგენილი პროგრამა მიზნად ისახავს მსმენელების პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებას წარმატებული პროფესიული კარიერისთვის, რათა პროგრამის დასრულების შემდგომ მათ წვლილი შეიტანონ საზოგადოებრივი კეთილდღეობის, დასაქმებულთა უსაფრთხო შრომის უზრუნველყოფის და გარემოს გაუმჯობესებაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და ვიზიტის დროს ადმინისტრაციულ პერსონალთან, სასწავლო მოდულების განმახორციელებელ პედაგოგებთან, ასევე დამსაქმებლებთან გასაუბრების პროცესში, გამოიკვეთა საგანმანათლებლო პროგრამის აქტუალობა, მითუმეტეს პროგრამა ხელს უწყობს რეგიონში მნიშვნელოვანი ადგილის დაკავებას აღნიშნულ დარგში. ვიზიტის პერიოდში მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, დგინდება, რომ „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების“ პროგრამის შემუშავებისას გამოყენებული იყო სხვადასხვა დაინტერესებული მხარის შეფასება, უკუკავშირი და რეკომენდაციები. კერძოდ, პრაქტიკის განმახორციელებელი დაწესებულებების პირდაპირი მოთხოვნა აღნიშნული პროგრამის კურსდამთავრებულების დასაქმებაზე. ამის გარდა, ჩატარებულია ადგილობრივი შრომის ბაზრის ანალიზი, რომლის საფუძველზეც კოლეჯს შემუშავებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების“ განხორციელების არგუმენტირებული დასაბუთება, სადაც იკვეთება პროგრამის საჭიროება შიდა ქართლის რეგიონში. პროგრამის დამატების მიზანშეწონილობა გამყარებულია იმითაც, რომ საქართველოში შრომის უსაფრთხოების სტანდარტების დანერგვა და ეფექტური შრომის ინსპექციის ამოქმედება სავალდებულოა. დასაბუთებისას, კოლეჯის მიერ ხაზგასმულია, რომ კვლევებში გამოკვეთილია ადგილობრივი კვალიფიციური კადრების ნაკლებობა, რეგიონს უწევს სპეციალისტების მოწვევა სხვა რეგიონებიდან, რაც შესაბამისობაშია რეალურ მდგომარეობასთან.

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის დირექტორის 2023 წლის 08 მაისის N4606 ბრძანებით (ცვლილება: დირექტორის 13.05.2025 წლის N7016 ბრძანებით) დამკტიცებული **„პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია“** არეგულირებს **შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების პროცედურებს. პროგრამის დაგეგმვის პროცესს წინ უძღვის დაგეგმვის ეტაპი, რომელიც მოიცავს პროგრამის დამატების ინიცირებას, სამუშაო ჯგუფის შედგენას, მისი დამატების მიზანშეწონილობის დადგენას, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროექტის მომზადებას და ხარისხის მენეჯერთან წარდგენას პროექტის რევიზიის მიზნით. პროგრამის შემუშავების საფუძველი, შესაბამისი საგანმანათლებლო სტანდარტია და სხვა დამატებითი სამართლებრივი საკანონმდებლო ან კანონქვემდებარე აქტებია. ახალი პროგრამის დამატების ინიციატორი შეიძლება იყოს პროფესიული განათლების მასწავლებელი/მასწავლებლები, პროგრამის ხელმძღვანელი ან სხვა გარე ინიციატორი, რომელიც წარუდგენს კოლეჯის დირექტორს განსახილველად წინადადებას პროგრამის დამატების შესახებ. ახალი პროგრამის დამატების შესახებ მიზანშეწონილობის დადგენის მიზნით, კოლეჯის დირექტორის ბრძანებით იქნება სამუშაო ჯგუფი, რომელიც ამზადებს პროგრამის პროექტს, ადგენს საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობას მისიასთან, სტრატეგიული განვითარების გეგმასთან, შრომის ბაზრის მოთხოვნებთან, კოლეჯის ადამიანურ და მატერიალურ რესურსთან და სხვა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებითა და წარმოდგენილი დოკუმენტაციით დადგინდა, რომ დაწესებულების გადაწყვეტილება, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ განხორციელების შესახებ, ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება კოლეჯის მისიასა და სტრატეგიული განვითარების გეგმას. **2.1.1.1 სტანდარტი შესაბამისობაშია.**

**2.1.1.2 საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, კერძოდ:** პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ განსაზღვრული დაშვების წინაპირობა შესაბამისობაშია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტით განსაზღვრულ წინაპირობასთან და კოლეჯის მიერ შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესთან. კერძოდ, დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია **სრული ზოგადი განათლება.**

პროგრამაზე ჩარიცხვა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესის მიხედვითა და დაწესებულების მიერ დამტკიცებული წესების შესაბამისად. დაშვებასთან დაკავშირებული პროცედურები სხვა პროცედურები (სტატუსის მოპოვება, შეჩერება, შეწყვეტა და აღდგენა) დეტალურად არის გაწერილი კოლეჯის **,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულება“ (ბოლო ცვლილება დირექტორის ბრძანება N7014, 13.05.2025) .** სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით განსაზღვრულია შემდეგი საკითხები: პროგრამაზე ჩარიცხვის პროცესის დაგეგმვა და ორგანიზება, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის ეტაპები, დაწესებულების მიერ ანკეტა-კითხვარის შევსება, აპლიკანტთა რეგისტრაცია, აპლიკნტთა შერჩევა, შერჩევაში მონაწილე აპლიკანტის ინფორმირება, აპლიკანტთა შერჩევის ფორმა, შესარჩევი კომისიის ფორმირება და გასაუბრება და სხვ., მოტივაციური გასაუბრება, განმეორებით შეფასებაზე გაშვებისა და აპელაციის საკითხები, პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვა, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთა პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურები და სხვა.

აღნიშნული რეგულაციები უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის თანაბარ შესაძლებლობებს, გამჭვირვალე გადაწყვეტილების მიღებასა და სამართლიან ადმინისტრაციულ პროცესს. შესაბამისად, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა და მიღების პროცედურები უზრუნველყოფს ისეთ პირთა დაშვებას, რომლებიც პროგრამის განხორციელების ვადაში შეძლებენ პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. **2.1.1.2 სტანდარტი შესაბამისობაშია.**

**2.1.1.3 პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით, კერძოდ:** კოლეჯის დირექტორის მიერ 2023 წლის 07 ივნისის N5550 ბრძანებით (ცვლილება: 09.03.2026 წლის N4630 ბრძანებით) დამკტიცებული შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის პროფესიულ პროგრამაზე ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის მიხედვვით, კოლეჯის კონკრეტულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სპეციფიკა, კოლეჯის ადამიანური და მატერიალური რესურსი მათი სასწავლო პროცესში გამოყენების ინტენსივობის გათვალისწინებით, A, B და C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა და სხვ., ფინანსური რესურსი, პრაქტიკის ობიექტის შესაძლებლობები და სხვ.

ასევე კოლეჯს შემუშავებული აქვს შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესი და პროფესიულ სტუდენტთა საერთო ზღვრული რაოდენობის გაანგარიშების წესი. პროგრამაზე კოლეჯის მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების რაოდენობაა 40 პროფესიული სტუდენტი 2 წლის განმავლობაში, წელიწადში 20 პროფესიული სტუდენტი, რაც შეესაბამება კოლეჯის სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიას, რომელიც ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკასა და კოლეჯის რესურსებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, დაწესებულების პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება:

- A გარემო/თეორიული მეცადინეობისათვის განკუთვნილი სივრცე;
- B გარემო/კომპიუტერული კლასი გამოიყენება ყველა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე/საგანმანათლებლო პროგრამისათვის და გაანგარიშდება სტუდენტთა რაოდენობაზე;
- C გარემო/პრაქტიკისათვის განკუთვნილი სივრცე.

მოდულში შესაძლებელია იყოს ორი ან სამი გარემო ერთად, ამ შემთხვევაში მიეთითება შესაბამისი აღნიშვნა (A და C; ან B და C; ან A და B; ან A, B და C). იმ შემთხვევაში, თუ ოთახი გამოიყენება ორი ან მეტი პროგრამისა და ჯგუფისათვის, ფართი და აღჭურვილობა უნდა იძლეოდეს იმის შესაძლებლობას, რომ ყოველმა პროფესიულმა სტუდენტმა შეძლოს სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მეცადინეობაზე დასწრება შეუფერხებლად.

კოლეჯის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის დროს ხდება აღნიშნული ასპექტების შესაბამისობის დადგენა სამიზნე ნიშნულებთან.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ მოთხოვნილი პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობისა და განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობასთან დაკავშირებით დოკუმენტში გათვალისწინებულია ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსი. დოკუმენტის მიხედვით, დაწესებულება უზრუნველყოფს პრაქტიკის სრულყოფილ გატარებას პარტნიორ კომპანიებში.

აღნიშნული პროფესიული პროგრამისთვის დადგენილია საერთო კვოტა 40 პროფესიული სტუდენტის ოდენობით. დაწესებულება სტუდენტის მიღებას აპირებს შემდეგი სახით:

- პირველი სასწავლო წელი - 20 პროფესიული სტუდენტი;
- მეორე სასწავლო წელი - 20 პროფესიული სტუდენტი.

პასუხისმგებელ პირთა ინტერვიუირებისა და დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერების, ასევე, პროგრამის ანალიზითა და პარტნიორ ორგანიზაციასთან გაფორმებული ხელშეკრულებით დასტურდება, რომ დაწესებულებამ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობა განსაზღვრა არსებული მეთოდოლოგიის შესაბამისად. **2.1.1.3 სტანდარტი შესაბამისობაშია.**

**2.1.1.4 საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, კერძოდ:** კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებულ საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტს თან ერთვის საგანმანათლებლო პროგრამის „შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-საგანმანათლებლო რესურსის ჩამონათვალი, რომელიც უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. მოდულებში მითითებული მოდულების განხორციელებისათვის საჭირო საგანმანათლებლო რესურსის შინაარსი შესაბამისობაშია შესაბამისი მოდულის სწავლის შედეგებთან.

პროფესიული სტუდენტებისათვის შექმნილია google classroom პლატფორმა, სადაც ხელმისაწვდომია ელექტრონული სასწავლო რესურსი ყველა პროფესიული სტუდენტისათვის და პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის. ასევე, კოლეჯის ბიბლიოთეკაში არსებულ კომპიუტერებში ხელმისაწვდომია ელექტრონული სასწავლო რესურსი. კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებლები სწავლების პროცესში უგზავნიან პროფესიულ სტუდენტებს ელექტრონული ფოსტის საშუალებით და fecebook პლატფორმის გამოყენებით სასწავლო პრეზენტაციებს და რესურსს.

რესურსის არსებობა ექსპერტთა ჯგუფის მიერ დადგინდა ვიზუალური დათვალიერებით და რესურსების ფლობის/შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაციით. დაწესებულება ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსების შესაბამისობის კვლევასა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მონიტორინგს, საჭიროების შემთხვევაში განახლებას ან გაუმჯობესებას, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის უწყვეტობასა და ხარისხის შენარჩუნებას. პროფესიული განათლების მასწავლებლები ჩართული არიან რესურსების შეფასებისა და საჭიროების განსაზღვრის პროცესში. **2.1.1.4 სტანდარტი შესაბამისობაშია.**

**2.1.1.5 საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან, კერძოდ:** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **„შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“** მოიცავს ზოგად და პროფესიულ მოდულებს და არ ითვალისწინებს არჩევით მოდულებს. **2.1.1.5 სტანდარტი შესაბამისობაშია.**

**2.1.1.6 საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ, კერძოდ:** კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულების მიხედვით პროგრამის დამტკიცებაზე უფლებამოსილი პირია კოლეჯის დირექტორი. პროგრამა დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის მიერ. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები” დამტკიდებულია შპს საზოგადოებრივი კოლეჯ ამაგის დირექტორის მიერ 2026 წლის 6 მაისის N00007966 ბრძანებით. **2.1.1.6 სტანდარტი შესაბამისობაშია.**

**2.1.1.7 პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი, კერძოდ:** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,შრომის უსაფრთხოება და გარემოსგაცვითი ტექნოლოგიები“ შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების“ საფუძველზე. ექსპერტთა მიერ გაანალიზდა სასწავლო გეგმა, სწავლის შედეგები და მათი შეფასებით, პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს, პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი. **2.1.1.7 სტანდარტი შესაბამისობაშია.**

**2.1.1.8 პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, კერძოდ:** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის - ,,შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების“ - (სარეგისტრაციო ნომერი 07311-პ) საფუძველზე. პროგრამა მოიცავს სასწავლო გეგმას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 3 ზოგად მოდულს 11 კრედიტის მოცულობით, 21 პროფესიულ მოდულს 109 კრედიტის მოცულობით.
ექსპერტთა შეფასებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. კერძოდ, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ შემუშავების საფუძველია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი. შპს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის დირექტორის 08.05.2023 წლის N4606 ბრძანებით დამტკიცებული (ცვლილება: დირექტორის 13.05.2025 წლის N7016 ბრძანებით) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიით განსაზღვრულია პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებული რეგულაციები. პროგრამის რეგულაციებთან შესაბამისობით შემუშავების მტკიცებულებად დაწესებულებამ წარმოადგინა კოლეჯის დირექტორის 2026 წლის 6 მაისის N7966 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა. ასევე წარმოდგენილ იქნა პროგრამის შემმუშავებელი ჯგუფის შექმნის შესახებ დირექტორის 2025 წლის 10 ნოემბრის N00022302 ბრძანება შესაბამისი ოქმით, სადაც ნათლად ჩანს პროგრამის რეგულაციებთან შესაბამისობით შემუშავება. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან და სხვა განმახორციელბელ პირებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ პროგრამის შემუშავებაში ჩართულნი იყვნენ აღნიშნული პირები. წარმოდგენილი პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, დასაქმების სფერო და შესაძლებლობები, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სტრუქტურა და მოდულები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა და სავარაუდო ხანგრძლივობა. სწავლების მეთოდოლოგია, პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიდგომები. პროფესიული საგნმანათლებლო პროგრამის პაკეტი მოიცავს შემდეგ დოკუმენტებს - პროგრამის ძირითადი დოკუმენტი, მოდულები (ზოგადი, ინტეგრირებული და პროფესიული), სასწავლო გეგმა ქართული ენის A2 და B1 გათვალისწინებით და მის გარეშე. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

**2.1.1.8 სტანდარტი შესაბამისობაშია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით*

- ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულება“ (დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 01 ივლისის N64 ბრძანებით, ცვლილება 13.05.2025 წ. ბრძანება N7014);
- ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია“ (დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 08.05.2023 წლის N4606 ბრძანებით; ცვლილება: დირექტორის 13.05.2025 წლის N7016 ბრძანება);
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ (დამტკიცებულია დირექტორის 2026 წლის 06 მაისის N00007966 ბრძანებით;
- შპს საზოგადოებრივი კოლეჯ ამაგის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,შრომის უსაფრთხოება და გარემოსგაცვითი ტექნოლოგიების“ შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ 2025 წლის 10 ნოემბრის N00022302 ბრძანება;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთება;
- პროფესიულ პროგრამაზე ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია (დამტკიცებულია 2023 წლის 07 ივნისის N5550 ბრძანებით (ცვლილება: 09.03.2026 წლის N4630 ბრძანებით);
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ კონტიგენტის განსაზღვრა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- კოლეჯის მისია;
- სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- პრაქტიკის ობიექტთან გაფორმებული მემორანდუმები;
- გასაუბრება.

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი**

**2.2.1** პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**2.2.1.1 პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, კერძოდ:** კოლეჯს მფობელობაში აქვს პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ ტექნიკური რესურსი, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია კოლეჯის სასწავლო და სიმულაციურ გარემოში ასევე /პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობის (40 პროფესიულ სტუდენტი) გათვალისწინებით.

კოლეჯში პროგრამის განხორციელებისთვის მოწყობილია A, B და C სასწავლო გარემოები, რომელიც აღჭურვილია საჭირო სასწავლო ინვენტარით და კომპიუტერული ტექნიკით. კოლეჯს კონკრეტული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის მოწყობილი აქვს ორი A სასწავლო აუდიტორია და C სიმულაციური გარემო პრაქტიკული მუშაობისათვის. ხოლო B გარემოს დატვირთვა გაკეთებული აქვთ ისე, რომ მისი გამტარუნარიანობა შესაბამისი იყოს სხვა პროგრამების განსახორციელებლადაც. მატერიალურ-ტექნიკური რესურსი უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. პრაქტიკის ობიექტზე, ხელშეკრულების ფარგლებში, პროფესიული სტუდენტებისთვის უზრუნველყოფილია პრაქტიკის კომპონენტის ფარგლებში მატერიალური რესურსით სარგებლობა. კოლეჯს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება შემდეგ პრაქტიკის ობიექტებთან:

- შპს მეცნიერებათა სკოლა (20 პროფესიული სტუტენტი);
- შპს საგზაო სამშენებლო სამმართველო N1 (20 პროფესიული სტუტენტი);
- შპს რეგიონული ჯანმრთელობის ცენტრი (20 პროფესიული სტუტენტი);
- ი/მ გიორგი ლოლიშვილი (20 პროფესიული სტუტენტი);
- შპს მარიმედი (20 პროფესიული სტუტენტი);
- შპს მყუდრო სახლი (20 პროფესიული სტუტენტი);
- შპს ემ ეს ჯი (20 პროფესიული სტუტენტი);.

დაწესებულებას დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს დოკუმენტი, რომლითაც რეგულირდება შპს საზოგადოებრივი კოლეჯ ამაგში პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით განსაზღვრული პროგრამის იმ კომპონენტის/კომპონენტების დისტანციურად სწავლება ან/და შეფასება, დისტანციური სწავლების განხორციელების პროცესის ეტაპები, პროცესში ჩართულ პირთა მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების, ასევე, დისტანციური სწავლებისა და შეფასების ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები. შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგში დისტანციური სწავლების, შეფასების და ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები არეგულირებს დისტანციური სწავლების ფორმებს, დისტანციური სწავლების განხორციელების პროცესს (ადმინისტრირებას, მონიტორინგსა და დაკვირვებას).

დისტანციური სასწავლო პროცესის წარმართვისა და დისტანციური სასწავლო რესურსების გამოყენების მიზნით კოლეჯი ახდენს ელექტრონული პლატფორმების გამოყენებას. კერძოდ, ელექტრონული პლატფორმა, Zoom.us/meet.google.com/Teams გამოიყენება დისტანციური საგაკვეთილო პროცესისათვის. პროფესიული განათლების მასწავლებელი/პროგრამის განმახორციელებელი პირი ვალდებულია დისტანციური სასწავლო პროცესის წარმართვის მიზნით:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- შეიმუშაოს დისტანციური სწავლებისა და მიდგომების გამოყენებით მოქნილი კალენდარული გეგმა და წარუდგინოს სასწავლო პროცესის მენეჯერს სასწავლო მარეგულირებელი დებულებით განსაზღვრულ ვადებში;
- ჩაატაროს მეცადინეობა სწავლის შედეგების შესაბამისად;
- განახორციელოს პროფესიული სტუდენტების/მსმენელების დასწრების აღრიცხვა;
- მოამზადოს საპრეზენტაციო სასწავლო მასალები;
- უზრუნველყოს ჩართვა ვიდეო ჩაწერის ავტომატურ რეჟიმში ჩასაწერად;
- უზრუნველყოს ინტერაქცია და ჩართულობა პროფესიული სტუდენტების/მსმენელების;
- ტექნიკური ხარვეზის შემთხვევაში 10 წუთის შემდეგ აცნობოს სასწავლო პროცესის მენეჯერს და მასთან შეთანხმებით მეცადინეობა გადაიდება ან ინიშნება აღდგენა.

პროგრამით გათვალისწინებულია რიგი მოდულების დისტანციურ რეჟიმში სწავლების შესაძლობლობა. საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტს თან ახლავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დისტანციური სწავლების და შეფასების შესაძლებლობები (დანართი 5). განმახორციელებელ პირებთან გასაუბრების შედეგად დასტურდება, რომ სხვა იცნობენ დისტანციურად სასწავლო პროცესის რეგულაციას. მათ აქვთ გამოცდილება დისტანციურად/ნაწილობრივ დისტანციურად მოდულების წაკითხვისა და საჭიროების შემთვევაში აღნიშნული პროგრამის ფარგლებშიც შეძლებენ ცოდნის გამოყენებას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა სრულადაა უზრუნველყოფილი დაწესებულებისა და პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. **2.2.1.1 სტანდარტი შესაბამისობაშია.**

**2.2.1.2 პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას, კერძოდ:** პროგრამის დანართის სახით წარმოდგენილია პროგრამის განმახორციელებელთა სია, რომლის მიხედვითაც პროგრამა ხორციელდება: ზოგადი მოდულის განმახორციელებელი 8 პროფესიული განათლების მასწავლებლის, დარგობრივი მოდულის განმახორციელებელი 22 პროფესიული განათლების მასწავლებლის და 6 ინსტრუქტორის მიერ, სულ 36 პირი. პროგრამის შემადგენელ თითოეულ მოდულს ჰყავს მინიმუმ ორი განმახორციელებელი პირი. კოლეჯში სასწავლო წლის დასაწყისში შემუშავდება პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვის ამსახველი დოკუმენტი, რომელშიც გათვალისწინებულია პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვირეული დატვირთვა, ასევე მათი დატვირთვა სხვა პროგრამაზე მოდულის განხორციელების შემთხვევაში. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლების დატვირთვა არ ეწინააღმდეგება საქართველოს შრომის კოდექსს და არ აღემატება კვირაში 40 საათს. **2.2.1.2 სტანდარტი შესაბამისობაშია.**

**2.2.1.3 პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, კერძოდ:** პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ შესაბამისი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვალიფიკაცია გამოცდილება და გადამზადება უზრუნველყოფს პროფესიული პროფესიული სტუდენტებისათვის სწავლის შედეგების შესაბამისი კომპეტენციების გამომუშავებას. მათთან გაფორმებულია ხელშეკრულებები და წინმსწრები ხელშეკრულებები, რომლის შინაარსი მოიცავს შრომის კანონმდებლობით მოთხოვნილ არსებით პირობებს და მასში გაწერილია ის მოდულები, რომლებსაც განახორციელებს პროფესიული განათლებლების მასწავლებელი. კოლეჯის მუდმივად ზრუნავს პროფესიული განათლების მასწავლებელთა საჭიროებებზე. მაგალითად, ზემოთაღნიშნული პროგრამის განმახორციელებელი პირების განვითარების მიზნით კოლეჯმა დაგეგმა და ჩაატარა არაერთი ტრენინგი, მათ შორის:

- შეფასება პროფესიულ განათლებაში;
- სასწავლო პროცესის დაგეგმვა;
- კალენდარული გეგმების შედგენა;
- დისტანციური სწავლების მეთოდოლოგია.

ასევე, კოლეჯს დარგობრივი პროფესიული განათლების მასწავლებელთა განვითარების კუთხით დადებული აქ მემორანდუმი ააიპ „ბიზნეს საქართველოსთან", რომელიც სამომავლოდ იზრუნებს შრომის უსაფრთხოების პროფესიული განათლების მასწავლებელებს მიაწოდოს შრომის უსაფრთხოების სფეროში არსებული სიახლეები, ჩაატარებს ტრენინგებსა და სწავლებებს. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტები გაესაუბრნენ კომპანიის დამფუძნებელს, რომელმაც დაადასტურა აღნიშნული ინფორმაცია. **2.2.1.3 სტანდარტი შესაბამისობაშია.**

**2.2.1.4 საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, კერძოდ:** პროგრამის ხელმძღვანელი არის პროგრამის შინაარსზე, ხარისხზე, განხორციელებასა და განვითარებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც უძღვება პროგრამის შემუშავებისა და მისი განვითარების პროცესებს.პროგრამის ხელმძღვანელს უნდა გააჩნდეს პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, მისი კვალიფიკაცია უნდა დასტურდებოდეს სფეროს შესაბამისი განათლებით/პრაქტიკული გამოცდილებით.
ვიზიტის დროს გადამოწმდა პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე და მოხდა მასთან გასაუბრება. ექსპერტთა შეფასებით, პროგრამას ჰყავს, დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომლის ხელმძღვანელობა განსაზღვრულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების აქტით, ხოლო ფუნქცია-მოვალეობები - სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით. ინტერვიურების პროცესში ნათლად წარმოჩნდა, რომ პროგრამის ხელმძღვანელი იცნობს საკუთარ ფუნქცია-მოვალეობებს და მუშაობს პროგრამის განვითარების მიმართულებით. მონაწილეობა აქვს მიღებული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში, პარტნიორი ორგანიზაციების მოძიებაში, პროფესიული განათლების მასწავლებლების შერჩევასა და მატერიალური რესურსების მობილიზებაში. **2.2.1.4 სტანდარტი შესაბამისობაშია.**

**2.2.1.5 საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში, კერძოდ:** კოლეჯი აღჭურვილია პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო რესურსით, რომელიც განთავსებულია კოლეჯის ბიბლიოთეკაში. კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დანიშნულია ბიბლიოთეკარი, მას გააჩნია შესაბამისი კომპეტენცია. ბიბლიოთეკაში არსებული სასწავლო რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. ბიბლიოთეკაში თვალსაჩინოდ არის გამოკრული საინფორმაციო ხასიათის ინსტრუქციები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ელექტრონული სასწავლო რესურსი განთავსებულია google classroom პლატფორმაზე, რომელიც ხელმისაწვდომია კოლეჯის ყველა პროფესიული სტუდენტისათვის, ექსპერტებმა ელექტრონული სარგებლობის წესის შესაბამისად თავადვე მოიძიეს შერჩევით სახელმძღვანელო და ჩამოტვირთეს წიგნის ციფრული ვერსია. ასევე, კოლეჯს გააფორმებული აქვს ხელშეკრულება ააიპ საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციასთან, რაც დამატებითი საინფორმაციო რესურსების მოძიების საშუალებას იძლევა.

სამკითხველო დარბაზში განთავსებულია სახელმძღვანელოები მატერიალური სახით, სივრცე აღჭურვილია სათანადო ინვენტარით, დარბაზში რაციონალურად არის გამოყოფილი მაგიდები მატერიალური სახელმძღვანელოებით სარგებლობისთვის და სივრცე, ელექტრონული სახელმძღვანელოებით სარგებლობისთვის, სადაც განთავსებულია ოთხი მაგიდა პერსონალური კომპიუტერით, ბიბლიოთეკარის სამუშაო მაგიდასთან განთავსებულია სტუდენტის საჭიროებიდან გამომდინარე, ასლის გადამღები და სკანერის აპარატი, ბიბლიოთეკაში მუდმივად ხელმისაწვდომია უკაბელო ინტერნეტი. **2.2.1.5 სტანდარტი შესაბამისობაშია.**

**2.2.1.6 სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად, კერძოდ:** კოლეჯში შექმნილია პირობები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტთათვის განათლების მისაღებად და მათი სრულფასოვანი ინტეგრაციისათვის საზოგადოებაში; კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულება მოიცავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიულ სტუდენტთა მომსახურების უზრუნველყოფის მექანიზმს. კერძოდ, საჭიროების შემთხვევაში კოლეჯი შეიმუშავებს იდნივიდუალურ სასწავლო გეგმას, რომლის შედგენის პროცედურები ასევე გაწერილია სასწავლო პროცესის მარეგულირებელ დებულებაში. საჭიროების შემთხვევაში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტების სასწავლო პროცესში სრულყოფილ ინტეგრირებას ახორციელებს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი. ამასთან, კოლეჯის სასწავლო გარემო ადაპტირებულია შშმ პირების თავისუფლად გადაადგილებისათვის. ინტერვირებისას ააიპ „ბიზნეს საქართველო"-ს დამფუძნებელმა, რომელიც ამავდროულად პროგრამის განმახორციელებელი პირია, აღნიშნა, რომ პროგრამის მნიშვნელობიდან და არსიდან გამომდინარე, რამდენადაც შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები მუდმივად განვითარებადი პროცესია, რომელიც ასევე მოიცავს იურიდიულ და სამართალდამცავ საკითხებს, პროდუქტიული იქნება არა მარტო ობიექტზე მომუშავე უსაფრთხოების სპეციალისტების, არამედ დოკუმენტაციაზე მომუშავე სპეციალისტების აღზრდა, ამიტომ ეს პროგრამა ადაპტირებულია სსმ და შშმ პროფესიული სტუდენტების დასაქმებაზეც. **2.2.1.6 სტანდარტი შესაბამისობაშია.**

**2.2.1.7 პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა, კერძოდ:** კოლეჯის ფინანსური რესურსი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის **„შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები"** მდგრად და უწყვეტ განხორციელებას, ვინაიდან პროგრამის განხორციელებისას დაწესებულება იღებს ვაუჩერულ დაფინანსებას. საგანმანათლებლო პროგრამისთვის შემუშავებულია საპროგნოზო ბიუჯეტი, რომლებიც მოიცავს შემოსავლებისა და ხარჯების ნაწილს, პროფესიულ სტუდენტთა იმ მინიმალური რაოდენობის გათვალისწინებით (რენტაბელობის ზღვარად მიჩნეულია მინიმუმ 16 პროფესიული სტუდენტი), რომლის შემთხვევაშიც შემოსავლები უზრუნველყოფენ პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების გაწევის შესაძლებლობას. **2.2.1.7 სტანდარტი შესაბამისობაშია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით*

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- კოლეჯის მატერიალური რესურსი;
- პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები შეთანხმებებით;
- პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირადი საქმე/ხელშეკრულება;
- პროგრამისხელმძღვანელის  პირადი საქმე/ხელშეკრულება;
- პროფესიული მასწავლებლების დატვირთვის სქემა;
- შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგში დისტანციური სწავლების, შეფასების და ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები;
- ბიბლიოთეკის დებულება;
- ააიპ საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციასთან ინტეგრირებული საბიბლიოთეკო სისტემის ელექტრონული კატალოგი ,,Open Biblio; http://www.amagi.edu.ge/biblio/ho me/index.php
- ბიბლიოთეკარის პირადი საქმე;
- კოლეჯის ვებ -გვერდი;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულება;
- სამოქმედო გეგმა;
- პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი;
- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

- *გთხოვთ,  შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება**

**2.3.1** პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**2.3.1.1 პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ., კერძოდ:** კოლეჯს შემუშავებული აქვს „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“, რომელიც ეყრდნობა დემინგის ციკლს და მოიცავს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე მექანიზმებს. ხარისხის მართვის სამსახურის მიერ ყველა ძირითადი პროცესი ექვემდებარება ყოველწლიურ შეფასებას. ხარისხის მართვის სამსახური პროგრამების შემოწმებისას ახორციელებს: პროგრამის პროფესიული განათლების მასწავლებლის, პროფესიული სტუდენტის, პრაქტიკის ობიექტის გამოკითხვას; საგანმანათლებლო პროცესზე დასწრებას და დაკვირვებას; პროგრამის ფარგლებში ვერიფიკაციას. პროგრამის შემოწმების შედეგები წარედგინება კოლეჯის დირექტორს. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა კოლეჯის ხარისხის მართვის სამსახურის უფროსს, რომელმაც აღნიშნა, რომ პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ თუ საერთაშორისო გამოცდილებას. იმის გათვალისწინებით, რომ დაწესებულებას ჯერ არ აქვს პროგრამის განხორციელების უფლება მოპოვებული, მისი შეფასება ჯერ არ მომხდარა. ექსპერტთა შეფასებით **2.3.1.1 სტანდარტი შესაბამისობაშია.**

**2.3.1.2 პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად, კერძოდ,** კოლეჯს შემუშავებული აქვს „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“, რომელიც ითვალისწინებს: პროგრამის განვითარებას და ცვლილებების განხორციელების შემთხვევებს და ცვლილებების განხორციელების პროცედურას. კოლეჯის ხარისხის სისტემა დაფუძნებულია დემინგის ციკლზე „დაგეგმე - განახორციელე - შეაფასე-განავითარე“ მოდელზე. პროგრამის შეფასება ხდება ხარისხის განვითარების შიდა მექანიზმებზე დაყრდნობით, რომლის ფარგლებში ხორციელდება ყველა დაინტერესებული მხარის (პროფესიული სტუდენტი, დამსაქმებელი, პროფესიული განათლების მასწავლებელი) გამოკითხვა და შედეგების ანალიზი. შეფასების შედეგები მიეწოდება ყველა დაინტერესებულ მხარეს გასაცნობად და რეაგირებისთვის. საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების მიზნით, პროგრამაში ცვლილების ინიცირება შეუძლია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებს, პროგრამის ხელმძღვანელს და პროგრამის განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებელს. პროგრამაში ცვლილებების შეტანის შესახებ სამსახურეობრივ ბარათს თან უნდა დაერთოს ცვლილებების განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება და ცვლილებების პროექტი. ასევე ხარისხის მართვის სამსახური ახორციელებს კვლევის შედეგების ანალიზს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს პროცესების გაუმჯობესების მიმართულებით. ექსპერტთა შეფასებით, **2.3.1.1 სტანდარტი შესაბამისობაშია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით*

- საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება**

**2.4.1** სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**2.4.1.1 პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად, კერძოდ:** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის**„შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“** შედგენილია სასწავლო გეგმები, ქართული ენის მოდულებით და მის გარეშე. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა არის თანმიმდევრული. განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად ყველა კომპონენტი: მოდული, სწავლების ფორმა, კრედიტების რაოდენობა, საათების განაწილება დატვირთვის მიხედვით და სხვ. სასწავლო გეგმა იძლევა ცხად სურათს პროგრამის თანმიმდევრულად განხორციელების შესახებ და დაცული არის მოდულების განხორციელების ლოგიკური თანმიმდევრობა. პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვა, დამოუკიდებელი საათების ჩათვლით, არ აღემატება 40 საათს. სასწავლო გეგმის აგებისას გათვალისწინებულია სწავლის შედეგების ხელახალი დადასტურების შესაძლო გონივრული ვადა. პროგრამა განხორციელდება სასწავლო გეგმის შესაბამისად. **2.4.1.1 სტანდარტი შესაბამისობაშია.**

**2.4.1.2 პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე, კერძოდ:** შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ამაგში საწავლო პროცესი მიმდინარეობს პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით. სასწავლო გეგმით განსაზღვრულია პროგრამის ხანგრძლივობა და მისაღწევი შედეგები, ანუ იმ მიღწევების (უნარჩვევებისა და ცოდნის) ჩამონათვალი, რომელსაც უნდა ფლობდეს პროფესიული სტუდენტი პროგრამის დამთავრებისას. კოლეჯი სრულად ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა ინტერესებს და მოქნილად რეაგირებს ყველა შემხვედრ საჭიროებაზე, კერძოდ, ეს შეიძლება გამოიხატოს სასწავლო გეგმის ცვლილებაში, სასწავლო პროცესის დისტანციურად დაგეგმვაში, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებასა და/ან, საჭიროების შემთხვევაში, დამატებითი მეცადინეობები/კონსულტაციების ჩატარებაში. სასწავლო პროცესი აგებულია შემდეგი პრინციპების დაცვით:

- პროფესიულ სტუდენტებს დროულად მიეწოდოთ სრულყოფილი ინფორმაცია სასწავლო პროცესის შესახებ - სასწავლო კალენდრისა და მნიშვნელოვანი თარიღების წინასწარი დაგეგმვის შესახებ, საჭიროების შემთხვევაში ელექტრონული საკომუნიკაციო არხების გამოყენების (მობილური აპლიკაცია, ელფოსტა, სოციალური გვერდები facebook) და ინდივიდუალური საინფორმაციო შეხვედრების მეშვეობით;
- პროფესიულ სტუდენტებს მოდულის დაწყებისთანავე მიეწოდოთ ინფორმცია სწავლის შედეგების შეფასებისა და უკმაყოფილების შემთვევაში, მათი გასაჩივრების მექანიზმების არსებობის შესახებ;
- პროფესიული სტუდენტებისთვის განხორციელდეს მოქნილი სასწავლო ცხრილის შეთავაზება და სასწავლო დატვირთვები მოდულებს შორის სასწავლო გეგმის შესაბამისად გონივრულლად გადანაწილდეს;
- პროფესიული სტუდენტებისთვის უზრუნველყოფილი იყოს სიმულაციური გარემოს აქტიური გამოყენება პროფესიული უნარების ვირტუალური და გაფართოებული რეალობის განვითარებისთვის;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- პროფესიული სტუდენტებისთვის უზრუნველყოს დარგის წამყვანი პროფესიონალების მიერ პრაქტიკული მასტერკლასები ინტერაქტიული ქეისების ანალიზი, ტექნოლოგიების ინტეგრირება და როლური თამაშები;
- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტებისთვის უზრუნველ იქნეს მუდმივად ადაპტირებული სასწავლო გარემო, ჩატარდეს დამატებითი კონსულტაციები, აკადემიური სირთულეების მქონე სტუდენტებისთვის კოლეჯმა მუდმივად განახორციელოს სასწავლო პროცესის მონიტორინგი, პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის ანალიზი და შესაბამისად, მოახდინოს საგანმანათლებლო მიდგომების დახვეწა თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებისა და პროფესიული სტანდარტების შესაბამისად.

სასწავლო პროცესის დაწყებამდე პროფესიულ სტუდენტებთან ტარდება საინფორმაციო და საორიენტაციო შეხვედრები, სადაც მათ აწვდიან სრულ ინფორმაციას პროგრამის შინაარსზე, სწავლის პირობებსა და შესაძლებლობებზე, მათ უფლებებსა და ვალდებულებებზე. იმ შემთხვევაში, თუ პროგრამაში მოხდება ცვლილება ან მისი გაუქმება, კოლეჯი უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის განათლების გაგრძელების შესაძლებლობას. კოლეჯი მყისიერად რეაგირებს სტუდენტების საჭიროებებზე და მაქსიმალურ მხარდაჭერას უწევს სასწავლო პროცესში. სასწავლო პროცესის ორგანიზებისას სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებისა და მათ საჭიროებებზე მოქნილად რეაგირების პრაქტიკა დადასტურდა დაწესებულების წარმომადგენლებთან და პროგრამის განმახორციელებელ პირებთან გასაუბრებით. **2.4.1.2 სტანდარტი შესაბამისობაშია.**

**2.4.1.3 სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას, კერძოდ:** პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილი გარემო აღჭურვილია ყველა იმ მატერიალურ-ტექნიკური რესურსით, რაც გათვალისწინებულია შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით. პროგრამა სრულად ითვალისწინებს სწავლების მეთოდებს და უზრუნველყოფს თანამედროვე მიდგომების ინტეგრირებას სასწავლო პროცესში. პროგრამა ორიენტირებულია როგორც თეორიული ცოდნის, ისე პრაქტიკული უნარების განვითარებაზე, პროგრამის ეფექტურობის მიზნით კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლებას, ამ მიზნით კოლეჯი მუდმივად აორგანიზებს და ატარებს პროფესიული განათლების მასწავლებელთა ტრენინგებსა და მასტერკლასებს სწავლებისა და შეფასების საკითხებზე, დისტანციური სწავლების მეთოდებზე, რაც დასტურდება ცნობებით, სერტიფიკატებითა და ტრენინგებზე დასწრების ფურცლებით. ექსპერტთა შეფასებით, **2.4.1.3 სტანდარტი შესაბამისობაშია.**

**2.4.1.4 პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები, კერძოდ:** კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულებით დარეგულირებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე რეაგირების მექანიზმები და პროცედურები, რომლის მიხედვით განსაზღვრულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების შემთხვევები, შემუშავებაზე პასუხიმგებელი პირები და პროფესიულ სტუდენტთა სავალდებულო ჩართვისა და მათთან შეთანხმების მექანიზმები. განსაზღვრულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის პროცედურები, რომელიც ითვალისწინებს მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან

რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან აკომოდაციას. აღნიშნული მექანიზმი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალურ საჭიროებაზე ზრუნვას, მათ შორის პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას კოლეჯი მიმართავს პროფესიულ სტუდენტზე ორიენტირებულ სასწავლო მიდგომებს. **2.4.1.4 სტანდარტი შესაბამისობაშია.**

**2.4.1.5 პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით, კერძოდ:** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ ფარგლებში კოლეჯი ხელშეკრულების საფუძველზე თანამშრომლობს შვიდ სხვადასხვა სპეციფიკის კომპანიასთან: შპს „მეცნიერებათა სკოლა“, შპს „საგზაო სამშენებლო სამმართველო N1“, შპს „რეგიონული ჯანმრთელობის ცენტრი“, ი/მ გიორგი ლოლიშვილი, შპს „მარიმედი“, შპს „მყუდრო სახლი“.

პრაქტიკის ხელშეკრულებაში განსაზღვრულია ხელშეკრულების საგანი, პრაქტიკის ობიექტზე ერთჯერადად მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა და პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების პირობები საწარმოო პრაქტიკის განხორციელების დაგეგმვის, ადმინისტრირებისა და მონიტორინგის პროცედურები კოლეჯში დარეგულირებულია პრაქტიკის ობიექტთან დადებული ხელშეკრულებით, რომელშიც დაწვრილებით განისაზღვრება მხარეთა შორის ურთიერთობები. ხელშეკრულების თანახმად პრაქტიკის განხორციელებამდე მზადდება კალენდარული გეგმა, რომელიც თანხმდება და მოწმდება კოლეჯის უფლებამოსილი პირების მიერ. აღნიშნული ხელშეკრულების თანახმად, პრაქტიკის ობიექტები იღებენ ვალდებულებას, გამოუმუშაონ პროფესიულ სტუდენტებს სწავლის ის შედეგები და კრიტერიუმები, რომელიც დანართის სახით თან ახლავს ხელშეკრულებებს. ვიზიტის დროს ექსპერტების მიერ მოხდა ორი ობიექტის დათვალიერება. ადგილზე, კომპანიის წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადასტურდა, რომ კომპანია მზაობას გამოთქვამს პრაქტიკის პერიოდში ერთდროულად 20 სტუდენტ-პრაქტიკანტის მიღებაზე. გასაუბრებისას აღინიშნა ისიც, რომ კომპანიაში დასაქმებულია უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელიც კომპანიიდან გამოყოფილ მენტორთან და კოლეჯის მხრიდან პრაქტიკის ხელმძღვანელთან ერთად უზრუნველყოფს სტუდენტების გადანაწილებას და მათთვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფას. აქვე აღინიშნა, რომ ობიექტზე დაშვება მოხდება წინასწარი ჟურნალის წარმოებით, უსაფრთხოების ინსტრუქტაჟის ჩატარებით და სათანადო ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით ეკიპირებისას. **2.4.1.5 სტანდარტი შესაბამისობაშია.**

**2.4.1.6 სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, კერძოდ:** სასწავლო დაწესებულება „ამაგი“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას - „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“, განახორციელებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კონსტრუქციულად მდგრად შენობაში, რომელშიც გათვალისწინებულია სახანძრო და საევაკუაციო მოთხოვნები, შენობა აღჭურვილია საევაკუაციო სანათი ნიშნებით და ოპერირებული ცეცხლმაქრი მოწყობილობებით, დაწესებულებას ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი. პროგრამა განხორციელდება კოლეჯის A, B, C სასწავლო გარემოში და პრაქტიკის ობიექტზე. კოლეჯს უსაფთხოების მიზნით შემუშავებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის უსაფრთხოდ მიმდინარეობის გეგმა. სისტემატურად ახორციელებს რისკების შეფასებას, ასევე რეგულარულად ატარებს ტრენინგებს პროფესიულ სტუდენტებთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან. პრაქტიკის განმახორციელებელი კომპანიების შრომის უსაფრთხოების სპეციალისტებთან ერთად ინსტრუქტორები ვალდებულნი არიან პრაქტიკის განმავლობაში გააცნონ პროფესიულ სტუდენტებს ორგანიზაციის სტრუქტურა, ორგანიზაციის შინაგანაწი, შრომით ურთიერთობების მოწყობის ასპექტები, სამუშაო გარემო, პროფესიული სპეციფიკა, შრომისა და სანიტარული უსაფრთხოების ძირითად წესები, რომლითაც განსაზღვრულია უსაფრთხოების ის ნორმები, რომელთა დაცვაც სავალდებულოა სასწავლო პროცესში ჩართული პირების მხრიდან.

პრაქტიკის ობიექტზე პროფესიული სტუდენტები ვალდებულნი არიან დაემორჩილონ და დაიცვან კომპანიის შინაგანაწესი. ინსტრუქტორის მიერ ინსტრუქტაჟის ჩატარების ვალდებულება, პრაქტიკის ობიექტზე ქცევის წესებისა და უსაფრთხოების ნორმების შესახებ ინფორმაციის მიღება დადასტურდება პროფესიული სტუდენტის ხელმოწერით. პრაქტიკის ფარგლებში წინასწარ დადგენილი შეფასების კრიტერიუმებით დგება დოკუმენტების პაკეტი, რომელთა საფუძველზეც ფასდება პროფესიული სტუდენტი. ექსპერტთა შეფასებით, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით სასწავლო პროცესის განხორციელება იგეგმება უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში. **2.4.1.6 სტანდარტი შესაბამისობაშია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით*

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტი;
- პრაქტიკის განმახორციელებელ კომპანიებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- ინსტრუქტორებთან დადებული შეთანხმება;
- სასწავლო გეგმა;
- დისტანციური სწავლების წესი;
- ტრენინგების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- რისკების შეფასების დოკუმენტი;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- ინტერვირების შედეგები;
- ვიზიტის დროს შენობის ვიზუალური დათვალიერება.

**2.4.2** შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**2.4.2.1 პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური, კერძოდ:** დაწესებულების დირექტორის მიერ დამტკიცებულ ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულების“ მე-6 თავში გაწერილია პროფესიული სტუდენტის შეფასების საკითხები. აღნიშნულ დოკუმენტში გათვალისწინებულია შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების პროცედურები, შეფასების მიდგომები, პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირებასთან დაკავშირებული საკითხები, აპელაციის წესი, შეფასების პროცესის ადმინისტრირების საკითხები, განმეორებითი შეფასების განხორციელების პროცედურა და წესი, მტკიცებულებების მოპოვება შენახვის შესახებ ინფორმაცია. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური. **2.4..2.1 სტანდარტი შესაბამისობაშია.**

**2.4.2.2 პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს, კერძოდ:** დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების მე-5 მუხლი ითვალისწინებს შეფასების სისტემის შიდა ვერიფიკაციას, რომლის შესაბამისადაც, ვერიფიკაცია არის ხარისხის შეფასების სისტემა, რომელიც ადასტურებს, რომ კოლეჯში შეფასების პროცესი არის სანდო, ვალიდური, გამჭვირვალე და სამართლიანი.
ვერიფიკაციის მიმართულებებია შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია, მტკიცებულებების ვერიფიკაცია.
აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, ვერიფიკაცია ხორციელდება შერჩევის მექანიზმის მიხედვით. მათ შორისაა: პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მიერ გასაჩივრებული შეფასების შედეგები, გამოკითხვის შედეგებით გამოვლენილი შეფასებასთან დაკავშირებული ფაქტორი, დამწყები პროფესიული განათლების მასწავლებლის ფაქტორი, პროფესიული განათლების მასწავლებლის შერჩევითი პრინციპით შემოწმება, პროგრამაში ერთგვაროვანი შეფასების სისტემის არსებობა და სხვ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ვერიფიკაციის განხორციელება ხდება ხარისხის უზრუნველყოფის გეგმის მიხედვით. მასზე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური არის პასუხისმგებელი, თუმცა პროცესში შესაძლებელია სხვა პირები იყვნენ ჩართულნი (განათლების/დარგის სპეციალისტი). ვერიფიკაციის პროცესში არ უნდა იქნეს ჩართული პირი, რომელმაც შეიმუშავა შეფასების ინსტრუმენტი ან რაიმე სახით მონაწილეობდა მის შექმნაში. ვერიფიკაცია ჩატარდება შერჩევითობის პრინციპით, ხოლო შედეგები აისახება დასკვნაში. საჭიროების შემთხვევაში გაიცემა რეკომენდაციები. **2.4.2.2 სტანდარტი შესაბამისობაშია.**

**2.4.2.3 პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით, კერძოდ:** დაწესებულების ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ 48-ე მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად, კოლეჯი ვალდებულია მოდულების შედეგების შეფასების მტკიცებულებები შეინახოს შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის განმავლობაში. მტკიცებულებები უნდა ახდენდეს შესაფასებელი პირის იდენტიფიცირების საშუალებას. **2.4.2.3 სტანდარტი შესაბამისობაშია.**

**2.4.2.4 პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის, კერძოდ:** კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრებით დადასტურდა, რომ პროფესიული მასწავლებლები პერიოდულად განიხილავენ შეფასების შედეგებს ინდივიდუალურ რეჟიმში პროფესიულ სტუდენტებთან, რომელიც გამოყენებული იქნება მათი შემდგომი განვითარებისათვის. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების ანალიზის შედეგად შესაძლებელია დაინიცირდეს სწავლების მეთოდების, შეფასების სისტემის გაუმჯობესების ინიციატივები, დადგეს ინდივიდუალური გეგმის შედგენის საჭიროება, ეს კი უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა განვითრებას. **2.4.2.4 სტანდარტი შესაბამისობაშია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით*

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულება;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- ინტერვიუირება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია**
დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

27.06.2026
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: